



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030436553344219

№ 04-853/თ

19 / აპრილი / 2019 წ.

„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, საექიმო და საექთნო პუნქტების რაოდენობისა და „ექიმის ჩანთის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №01-264/თ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ით („ექიმის ჩანთა“) განსაზღვრული გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და „ექიმის ჩანთის“ გადაცემის წესთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დარეგულირების შესახებ

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N693 დადგენილების N18 დანართის („სოფლის ექიმი“) გათვალისწინებით (მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N166 დადგენილებით შეტანილი ცვლილება), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – „სააგენტო“) მიერ შესყიდული, „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, საექიმო და საექთნო პუნქტების რაოდენობისა და „ექიმის ჩანთის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №01-264/თ ბრძანებით დამტკიცებული დანართი № 2-ით („ექიმის ჩანთა“) განსაზღვრული გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და „ექიმის ჩანთის“ გადაცემა განხორციელდეს:

ა) საქონლის მიმწოდებლის მიერ სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისთვის, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით;

ბ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ, „სოფლის ექიმის“ პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული სოფლის ექიმების და/ან მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით.

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე სააგენტოს სახელით ხელმოწერის უფლება მიენიჭოს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის უფროსს (მისი მოვალეობის შემსრულებელს) ან მის მოადგილეს, ან/და შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ პირ(ებს).

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, აქტში ფიქსირებული საქონელი ჩამოიწერება სააგენტოს ბალანსიდან.

4. დაევალოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი):


ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ბ) უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის განწევა;

გ) უზრუნველყოს სააგენტოსა და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და „ექიმის ჩანთის“ მიმღებ პირს/დანეშებულებას შორის გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტის ფორმის შემუშავება და სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისთვის მიწოდება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2019 წლის 2 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

თენგიზ აბაზაძე